ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი

სსიპ - „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემისთვის“ მონაცემების მიწოდების თაობაზე

ქ. თბილისი 25 ივლისი 2020 წ.

ერთი მხრივ, **საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო** (შემდგომში – „სამინისტრო“), წარმოდგენილი „სამინისტროს“ ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის, **მიხეილ ჯანიაშვილის** სახით,

მეორე მხრივ სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **სოციალური მომსახურების სააგენტო** (შემდგომში - „სააგენტო“), წარმოდგენილი „სააგენტოს“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის, **გიორგი წოწკოლაურის** სახით,

და

მესამე მხრივ, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი - **განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა** (შემდგომში - „მართვის სისტემა“), წარმოდგენილი „მართვის სისტემის“ უფროსის, **დიმიტრი ბერიძის** მიერ

(შემდგომში ერთობლივად წოდებულნი, როგორც მხარეები, ხოლო ცალ-ცალკე, როგორც მხარე).

ვაღიარებთ რა, ურთიერთშორის არსებულ კოლეგიალურ და საქმიან ურთიერთობებს და ასევე ამ ურთიერთობების გაღრმავების სურვილს;

ვხელმძღვანელობთ რა, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით, მათ შორის „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „გ“ ქვეპუნქტით, საქართველოს მთავრობასა და ევროკავშირს შორის 2018 წლის 27 ნოემბერს გაფორმებული ფინანსური შეთანხმების „უნარების განვითარება და შრომის ბაზრის საჭიროებებთან თავსებადობა (Skills Development and Matching for Labour Market Needs)“ ფარგლებში არსებული ვალდებულებების შესრულებით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 22 ივლისის N127/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების რეესტრის წარმოების წესის“ მე-10 მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის საფასურის“ (დანართ N2) მე-3 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით, „მოსწავლეების სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის“ ყოველწლიურ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში არსებული პირობების შესრულებით, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 24 აპრილის N126 დადგენილებით დამტკიცებული „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზის ფორმირების წესის“ პირველი მუხლის მე-2 პუნქტით და მე-6 მუხლის პირველი პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტით, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს ოპერაციების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა,

შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2018 წლის 3 ოქტომბრის N01-14/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის უირიდიული პირის - სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების“ მე-2 მუხლის პირველი პუნქტით და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის 2020 წლის 19 თებერვლის N MES 9 20 00213462 წერილით,

ვაფორმებთ წინამდებარე მემორანდუმს (შემდგომში - მემორანდუმი) შემდეგზე:

მუხლი 1. მემორანდუმის მიზანი

1.1. მემორანდუმის მიზანია „მართვის სისტემისათვის“ მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესრულებაში ხელის შეწყობა და დახმარება, რაც თავის მხრივ უკავშირდება სხვადასხვა მოწყვლადი ჯგუფებისათვის მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული დახმარებით/შეღავათით/ბენეფიტით სარგებლობას/მიღებას.

მუხლი 2. მემორანდუმის საგანი

2.1. წინამდებარე მემორანდუმის საგანია „სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებადი ელექტრონული ბაზ(ებ)იდან (შემდგომში - „ბაზა“), „მართვის სისტემისათვის“, მისი მოთხოვნის საფუძველზე, ვებსერვისის საშუალებით, ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ მონაცემების მიწოდება (მონაცემებზე წვდომა), სამინისტროს ინფრასტრუქტურის საშუალებით/გამოყენებით.

2.2. „სააგენტო“, „მართვის სისტემას“ მიაწვდის მოთხოვნის დროისთვის არსებული მდგომარეობით, შემდეგ ინფრომაციას (მონაცემს):

2.2.1. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტთან დაკავშირებით:

2.2.1.1. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციისა და მინიჭებული სარეიტინგო ქულის შესახებ - ტოლია ან არ აღემატება 70 000 (სამოცდაათი ათასი).

2.2.2. პროფესიული განათლების მიღების მსურველთან (რეგისტრანტი), პროფესიული განათლების სტუდენტთან (აქტიური სტატუსის მქონე/სტატუს შეჩერებული/შეწყვეტილი) და პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთან დაკავშირებით:

2.2.2.1. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციისა და მინიჭებული სარეიტინგო ქულის და საარსებო შემწეობის მიმღები პირების შესახებ.

2.2.3. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მოსწავლესთან დაკავშირებით:

2.2.3.1. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრაციისა და მინიჭებული სარეიტინგო ქულის შესახებ - ტოლია ან არ აღემატება 70 000 (სამოცდაათი ათასი).

მუხლი 3. კავშირის უზრუნველყოფა და მონაცემთა მიწოდების წესი

3.1. მონაცემების მისაწოდებლად „სააგენტოსა“ და „მართვის სისტემას“ შორის კავშირი მყარდება დახურული კერძო ქსელის (VPN) საშუალებით, რომელიც აიგება ინტერნეტ სერვის პროვაიდერის საკომუნიკაციო არხების ბაზაზე. დახურული კერძო ქსელის (VPN) აგებისას გამოყენებული ქსელური მოწყობილობა უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ მინიმალურ მოთხოვნებს:

3.1.1. მარშრუტიზაციისა და IPSec VPN (Virtual Tunnel Interface (VTI) ტექნოლოგიის მხარდაჭერა;

3.1.2. შიფრაციის პროტოკოლის AES256 მხარდაჭერა;

3.1.3. ჰეშირების პროტოკოლის SHA-HMAC მხარდაჭერა.

3.2. დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურაციას (გამართვას) მხარეები უზრუნველყოფენ ერთობლივად.

3.3. „მართვის სისტემა“ VPN-არხის მეშვეობით დაუკავშირდება ვებსერვისს, უგზავნის მემორანდუმის მე-2 მუხლში მითითებული პირების პირად ნომერს, ხოლო „სააგენტო“ ვებსერვისით დააბრუნებს მოთხოვნის მომენტში არსებულ მონაცემებს აღნიშნულ პირებზე.

3.4. მხარეებს შორის დახურული კერძო ქსელის (VPN) კონფიგურაციის გამართვისთანავე, ყოველი მომართვისას „სააგენტო“ „მართვის სისტემას“ აწვდის მემორანდუმის მე-2 მუხლით

3.5. მხარეებს შორის მონაცემების გამოთხვა/მიწოდება ხორციელდება წინამდებარე მემორანდუმის N1 და N2 დანართების შესაბამისად.

მუხლი 4. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

4.1. „სააგენტო" ვალდებულია:

4.1.1. უზრუნველყოს მემორანდუმით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად მხარეებს გაუწიოს დახმარება საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში;

4.1.2. უზრუნველყოს „მართვის სისტემისათვის" 2.2. პუნქტით გათვალისწინებულ პირებზე, ამავე პუნქტით გათვალისწინებული მონაცემების ხელმისაწვდომობა/მიწოდება მართვის სისტემის მოთხოვნის შემთხვევაში;

4.1.3. მაქსიმალურად ხელი შეუწყოს და არ დაუშვას რაიმე დაბრკოლების შექმნა „მართვის სისტემისათვის" მე-2 მუხლით გათვალისწინებული მონაცემების მიწოდების დროს, გარდა კანონმდებლობით და/ან აუცილებელი საჭიროებით გათვალისწინებული შემთხვევებისა. აუცილებელ საჭიროებას განსაზღვრავს „სააგენტო", რაც უნდა უკავშირდებოდეს კანონმდებლობით „სააგენტოზე" დაკისრებული ფუნქცია-მოვალეობების შესრულების პროცესში წამოჭრილ/არსებულ საკითხებს;

4.1.4. დროულად განიხილოს „მართვის სისტემის" მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ურთიერთობებს.

4.2. „სააგენტო" უფლებამოსილია:

4.2.1. „მართვის სისტემისაგან" მიიღოს ინფორმაცია იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ მემორანდუმის პირობებზე, ცვლიან მემორანდუმის საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

4.2.2. შეაჩეროს მე-2 მუხლით გათვალისწინებული მონაცემების გაცემა/მიწოდება, თუ ეს განპირობებულია ტექნიკური ინფრასტრუქტურის ცვლილების და/ან არსებული ხარვეზის გასასწორებლად, აგრეთვე ამ მუხლის 4.1.3. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, რის თაობაზეც აცნობებს „მართვის სისტემას";

4.2.3. შეწყვიტოს მე-2 მუხლით გათვალისწინებული მონაცემების გაცემა, თუ მისთვის ცნობილი გახდა „მართვის სისტემის" მიერ 4.3.2. და 4.3.3. პუნქტების დარღვევის ფაქტ(ებ)ი;

4.2.4. „მართვის სისტემას" მოსთხოვოს მემორანდუმის პირობების შესრულების მონიტორინგისათვის აუცილებელი ინფორმაციის წარმოდგენა;

4.2.5. მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

4.3. „მართვის სისტემა" ვალდებულია:

4.3.1. უზრუნველყოს მემორანნდუმით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული და შეუფერხებელი მუშაობა;

4.3.2. გამოთხოვილი მონაცემების დაცვის მიზნით, მიიღოს უსაფრთხოების შესაბამისი ზომები მათი არასანქცირებული ან/და შემთხვევითი დარღვევის, დაკარგვის, არასანქცირებული შეღწევის, შეცვლის ან გავრცელების წინააღმდეგ. ასევე, არ დაუშვას მათი გამოყენება კანონიერ მიზნებთან (კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ მიზნებთან) შეუთავსებელი გზით;

4.3.3. არ დაუშვას „სააგენტოსაგან" მიღებულ მონაცემზე მესამე პირთა დაშვება (წვდომა), „სააგენტოსგან" მიღებული მონაცემის მესამე პირებისათვის გადაცემა, გადაცემის მიზნით დამუშავება/სისტემატიზაცია ან/და სხვაგვარი ხელმისაწვდომობა, კოპირება/შენახვა, (გარდა კანონმდებლობით გათვალისწინებული შემთხვევებისა), როგორც მემორანდუმის მოქმედების ვადის განმავლობაში, ისე მისი ვადის გასვლის შემდგომ;

4.3.4. აღრიცხოს წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებული სერვისით სარგებლობის/მონაცემებზე წვდომის შესახებ ინფორმაცია (მონაცემთა სუბიექტის პირადი ნომერი, სააგენტოსგან ინფორმაციის გამოთხოვის თარიღი, დრო და მიღებული პასუხი). ამ პუნქტის შესაბამისად აღრიცხული ინფორმაცია „მართვის სისტემაში" ინახება არანაკლებ 1 (ერთი) წლის

4.3.5. აცნობოს „სააგენტოს“ იმ საკანონმდებლო და/ან ადმინისტრაციულ/ორგანიზაციული ცვლილებების შესახებ, რომლებიც გავლენას ახდენენ ამ მემორანდუმის პირობებზე, ცვლიან მემორანდუმის საგანს და/ან მიზნებს, ცვლილების ამოქმედებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში;

4.3.6. დროულად განიხილოს „სააგენტოს“ მიერ წამოჭრილი პრობლემები, რომლებიც უკავშირდება წინამდებარე მემორანდუმით გათვალისწინებულ ურთიერთობებს;

4.3.7. მაქსიმალურად ხელი შეუწყოს „სააგენტოს“ ამ მემორანდუმით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებაში;

4.3.8. მიაწოდო „სააგენტოს“ მის მიერ მოპოვებული ან მის ხელთ არსებული ინფორმაცია, რომელიც უკავშირდება „სააგენტოს“ მიერ მიწოდებულ მონაცემებში არსებულ ხარვეზს ან მათ სრულყოფას;

4.3.9. კეთილსინდისიერად და ჯეროვნად შეასრულოს წინამდებარე მემორანდუმის პირობები.

4.4. „მართვის სისტემა“ უფლებამოსილია:

4.4.1. წინამდებარე მემორანდუმის ფარგლებში და პირობებით მიიღოს ინფრორმაცია (მონაცემები) და გამოიყენოს ის მოქმედი კანონმდებლობით დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად;

4.4.2. მოითხოვოს მხარეებისაგან წინამდებარე მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების დაცვა.

4.5. სამინისტრო ვალდებულია:

4.5.1. უზრუნველყოს მემორანდუმით გათვალისწინებული კავშირის უზრუნველსაყოფად საჭირო ღონისძიებები, საკუთარი ინფრასტრუქტურის გამართული და შეუფერხებელი მუშაობა;

4.5.2. მონაცემთა წვდომზე წინასწარ ცნობილი შეფერხებების ან ტექნიკური ცვლილების თაობაზე, აცნობოს „მხარეებს“, არაუგვიანეს 3 (სამი) სამუშაო დღით ადრე.

4.6. სამინისტრო უფლებამოსილია „მართვის სისტემისგან“ მოითხოვოს შესაბამისი საკომუნიკაციო საშუალებებისა და პროგრამული უზრუნველყოფის გამართულობა.

მუხლი 5. მონაცემის გამოთხოვისა და მიწოდების აღრიცხვა და მხარეთა კომუნიკაცია

5.1. მემორანდუმით გათვალისწინებულ საკითხებზე მხარეები ერთმანეთის ინფორმირებას ახდენენ მათ მიერ განსაზღვრული, უფლებამოსილი პირების მეშვეობით, წერილობითი ფორმით, ელექტრონული ფოსტით ან/და სატელეფონო კომუნიკაციის გზით.

5.2. „სააგენტო“ და „მართვის სისტემა“ ვალდებულნი არიან აწარმოონ ამ მემორანდუმის მე-2 მუხლით გათვალისწინებული მონაცემის გამოთხოვისა და მიწოდების ელექტრონული აღრიცხვა (ლოგირება), კერძოდ:

5.2.1. „სააგენტო“:

5.2.1.1. აღრიცხავს მისგან გაგზავნილი მონაცემის მოთხოვნის დროს, მოცულობას და მიწოდებული ინფორმაციის შინაარს;

5.2.1.2. უზრუნველყოფს „სააგენტოს“ მიერ გაგზავნილი თითოეული მოთხოვნის აღრიცხვას.

5.2.2. „მართვის სისტემა“ აღრიცხავს უზრუნველყოფს მემორანდუმის 4.3.4. პუნქტის შესაბასმიად.

მუხლი 6. მემორანდუმში ცვლილებების და დამატებების შეტანა

6.1 წინამდებარე მემორანდუმში ნებისმიერი ცვლილება, შესწორება და დამატება იურიდიულ ძალას იძენს მხოლოდ მხარეთა მიერ მისი წერილობითი ფორმით შეთანხმებისა და ხელმოწერის შემდეგ.

მუხლი 7. მემორანდუმის მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

7.1. მემორანდუმი ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს განუსაზღვრელი ვადით.

7.2. მემორანდუმის შეწყვეტის საფუძვლებია:

7.2.2. ერთ-ერთი მხარის მიერ მემორანდუმის ცალმხრივად შეწყვეტა, მეორე მხარისათვის 1 (ერთი) თვით ადრე წერილობითი შეტყობინების გაგზავნის გზით;

7.2.3. საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა შემთხვევები.

მუხლი 8. ფორსმაჟორი

8.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორსმაჟორული, მათ შორის, ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე საომარი მოქმედებები თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ მემორანდუმის შესრულებაზე. მემორანდუმის შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, ფორსმაჟორის გამომწვევ გარემოებათა დასრულებამდე.

8.2. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორსმაჟორული გარემოება 3 (სამი) სამუშაო დღის ვადაში აცნობებს მემორანდუმის სხვა მონაწილეებს ვალდებულების შეუსრულებლობის მიზეზებს და მათი შესრულების მოსალოდნელ თარიღს, რის შემდეგაც, ნაკისრი ვალდებულებების შესრულება შეიძლება გადაიდოს ფორსმაჟორის გაგრძელების ვადით ან მემორანდუმი შეწყდეს მხარეთა შეთანხმებით.

მუხლი 9. მხარეთა პასუხისმგებლობა და დავის გადაწყვეტის წესი

9.1. ამ მემორანდუმით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის მხარეები პასუხს აგებენ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. მხარეთა შორის სადავო საკითხები წყდება მოლაპარაკების გზით, შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავას განიხილავს სასამართლო, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მუხლი 10. დამატებითი პირობები

10.1. წინამდებარე მემორანდუმზე ხელმოწერით, მხარეები ვადასტურებთ, რომ „სააგენტო" არ არის პასუხისმგებელი და მას არ შეიძლება მოეთხოვოს პასუხი ისეთ შესაძლო ზარალზე და/ან ზიანზე, რომელიც შეიძლება მიადგეს „მართვის სისტემას" და/ან ნებისმიერ მესამე პირ(ებ)ს, რომელსაც „მართვის სისტემა" უზრუნველყოფს, ან შეიძლება უზრუნველყოს, ან შეიძლებოდა უზრუნველყო რაიმე სახის სოციალური დახმარებით (ფულადი ან არაფულადი), რაც შეიძლება წარმოიშვას „ბაზაში" არსებულ მონაცემზე დაყრდნობით „მართვის სისტემის" მიერ განხორციელებული ქმედების ან უმოქმედობის შედეგად.

10.2. წინამდებარე მემორანდუმზე ხელმოწერით „მართვის სისტემა" ადასტურებს მზაობას საკუთარი შესაძლებლობების ფარგლებში თვითონ უზრუნველყოს ნებისმიერი იმ ფიზიკური პირ(ებ)ის დაკმაყოფილება, რომელსაც შეიძლება მიადგეს რაიმე სახის შესაძლო ზიანი და/ან ზარალი, „მართვის სისტემის" მხრიდან განხორციელებული რაიმე მოქმედების ან უმოქმედობის შედეგად, რაც უკავშირდება „მართვის სისტემის" მიერ „ბაზაში" არსებულ მონაცემზე დაყრდნობით რაიმე სახის სოციალური დახმარების (ფულადი ან არაფულადი) გაცემას ან არგაცემას.

10.3. ამ მუხლში აღნიშნული პირობები ძალაში დარჩება წინამდებარე მემორანდუმის შეწყვეტის (გაუქმება, ძალდაკარგულად გამოცხადება) შემთხვევაშიც.

მუხლი 11. სხვა დებულებები

11.1. „მხარეები" ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

11.2. მემორანდუმის „მხარეები" ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

11.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

11.4. მემორანდუმის მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ მემორანდუმის შეუსრულებლობის, მემორანდუმის პირობების დარღვევის შესახებ და ა.შ., თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

11.5. მემორანდუმის რომელიმე ნორმის (მუხლი, პუნქტი) ბათილად ან გაუქმებულად გამოცხადება არ იწვევს მთლიანად მემორანდუმის ბათილობას ან გაუქმებას, თუ იგი დაიდებოდა ამ ნორმის გარეშეც. იმ შემთხვევაში, თუ მემორანდუმის რომელიმე ნორმის (მუხლის, პუნქტის) ბათილობის/გაუქმების საფუძველია საქართველოს კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილება, რაც ამოქმედდა წინამდებარე მემორანდუმის ხელმოწერის შემდეგ, მხარეები ვთანხმდებით, რომ ამ შემთხვევაში არ არის სავალდებულო მემორანდუმში კორექტირების შეტანა შეთანხმებით, ხოლო ბათილად/გაუქმებულად გამოცხადებული მემორანდუმის ნორმის (მუხლის, პუნქტის) ნაცვლად მხარეები იხელმძღვანელებენ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

11.6. წინამდებარე მემორანდუმი დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და ინტერპრეტირებული იქნება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით. წინამდებარე მემორანდუმით გაუთვალისწინებელი საკითხები რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

11.7. წინამდებარე მემორანდუმი შედგენილია ქართულ ენაზე, 3 (სამი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად, თითოეულ მხარეს გადაეცემა თითო ეგზემპლარი.

მუხლი 12. მხარეთა რეკვიზიტები

„სამინისტრო“
საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო
მის.: ქ. თბილისი, აკ. წერეთლის გამზ. N144
ს.კ.: 211333957

მიხეილ ჯანიაშვილი
ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროს

„სააგენტო“
სსიპ - სოციალური მომსახურების სააგენტო
მის.: ქ. თბილისი, აკ.წერეთლის გამზ. N144
ს.ნ.: 202178927

გიორგი წოწკოლაური
დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი

„მართვის სისტემა“
სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა
მის.: ქ. თბილისი, ფანჯიკიძის ქუჩა N1
ს.ნ.: 205300048

დიმიტრი ბერიძე
უფროსი

დანართი 1

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან“ ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისი და სერვისის ოპერაციები :

პიროვნებების სარეიტინგო ქულა და არის თუ არა საარებო შემწეობის მიმღები სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

სერვისის პარამეტრები:

- პირადი ნომერების მასივი;
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

სერვისის გამოძახება

სერვისი განთავსებულია შემდეგ მისამართზე:

http:// Service URL /SSASocialServices/ssaservice.asmx

მეთოდის დასახელებაა:

```
GetScoresMoneyRecieverByPrivateNumbers(string[] privateNumbers, DateTime date, string
              userName,string password, string sender_ID_DEA, string correlationID)
```

privateNumber - პირადი ნომერების მასივი

userName - მომხმარებლის სახელი

password – პაროლი

sender_ID_DEA - გადმოეცი null

correlationID - გადმოეცი null

სერვისი აბრუნებს კლასს

PrivateNumbersScoresMoneyRecieverResultEntity კლასის აღწერა

```
/// <summary>
///  პირადი ნომრების მასივს გვერდით მიწერილი სარეიტინგო ქულა და არის თუ არა საარსებო
///  შემწეობის მიმღები
/// </summary>
public class PrivateNumbersScoresMoneyRecieverResultEntity
{
       public ResultStatus ResultStatus // ოპერაციის სტატუსი
       public List<PrivateNumberScoreMoneyrecieverResultEntity> PrivateNumbersScores;// არის
             თუ არა საარსებო შემწეობის მიმღები
}


/// <summary>
/// პირად ნომერს მიწერილი სარეიტინგო ქულა და არის თუ არა საარსებო შემწეობის მიმღები
/// </summary>
public class PrivateNumberScoreMoneyrecieverResultEntity
{
       public string PrivateNumber; // პირადი ნომერი
       public int? Score;           // სარეიტინგო ქულა
       public bool IsMoneyReciever; // არის თუ არა პიროვნება საარსებო შემწეობის მიმღები
}
/// <summary>
/// მოთხოვნის პასუხის სტატუსი
/// </summary>
public class ResultStatus
{
    int StatusCode;              // სტატუსი კოდი
    string StatusDescription;    // სტატუსის განმარტება
}
```

ცხრილი #1: სტატუსის კოდები და განმარტება

პასუხის კვალიფიცირება	StatusCode	StatusDescription
შეცდომა	-1	Wrong username/password or Access denied
შეცდომა	-1	სისტემის შეცდომა (Exception)
	1	Operation success

დანართი 2

„სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან“ ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლი

სერვისი და სერვისის ოპერაციები :

ინფორმაცია, არიან თუ არა პიროვნებები სარეიტინგო ქულის დიაპაზონში სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში.

სერვისის პარამეტრები:

- პირადი ნომერების მასივი;
- მომხარებლის სახელი;
- მომხმარებლის პაროლი;

სერვისის გამოძახება

სერვისი განთავსებულია შემდეგ მისამართზე:

http:// Service URL /SSASocialServices/ssaservice.asmx

მეთოდის დასახელება:

```
CheckPersonsInFamilyScoreRange(string[] privateNumbers, string userName, string password,
            string sender_ID_DEA, string correlationID)
```

privateNumber - პირადი ნომერების მასივი

userName - მომხმარებლის სახელი

password – პაროლი

sender_ID_DEA - გადმოეცი null

correlationID - გადმოეცი null

სერვისი აბრუნებს კლასს

PersonsInFamilyScoreRangeResult კლასის აღწერა

```
/// <summary>
/// ოჯახის სარეიტინგო ქულის დიაპაზონში პიროვნებების შემოწმების შედეგი
/// </summary>
public class PersonsInFamilyScoreRangeResult
{
  public ResultStatus ResultStatus // ოპერაციის სტატუსი
  public List<PersonsInFamilyScoreRangeResultEntity> PersonsInFamilyScoreRange //პირად
ნომრებს მიწერილი არის თუ არა პიროვნება ოჯახის სარეიტინგო ქულის დიაპაზონში
}

/// <summary>
/// პირად ნომერს მიწერილი არის თუ არა პიროვნება ოჯახის სარეიტინგო ქულის დიაპაზონში
/// </summary>
public class PersonsInFamilyScoreRangeResultEntity
{
  public string PrivateNumber      // პირადი ნომერი
  public bool IsInFamilyScoreRange // არის თუ არა პიროვნება რეგისტრირებული მოცემული
სარეიტინგო ქულების დიაპაზონში
}

/// <summary>
/// მოთხოვნის პასუხის სტატუსი
/// </summary>
public class ResultStatus
{
    int StatusCode;              // სტატუსი კოდი
    string StatusDescription;    // სტატუსის განმარტება
}
```

ცხრილი #1: სტატუსის კოდები და განმარტება

პასუხის კვალიფიცირება	StatusCode	StatusDescription
შეცდომა	-1	Wrong username/password or Access denied
შეცდომა	-1	სისტემის შეცდომა (Exception)
	1	Operation success